საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №51/04
2015 წლის 11 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ამ ბრძანების დაუყოვნებელი ამოქმედება განპირობებულია კომერციული ბანკების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების აუცილებლობით.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტი **გიორგი ქადაგიძე**

დანართი №2

ბანკის დასახელება	IBAN კოდი
საქართველოს ეროვნული ბანკი	NB
სს "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო"	AZ
სს "ბაზისბანკი"	BS
სს "ბანკი ქართუ"	CR
სს "სილქ როუდ ბანკი"	BT
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	VT
სს "ზირაათ ბანკის" თბილისის ფილიალი	ZB
სს "თიბისი ბანკი"	TB
სს "კაპიტალ ბანკი"	IN
სს "კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო“	CS
სს "კორ სტანდარტ ბანკი"	KS
სს "პროგრეს ბანკი"	PG
სს "პროკრედიტ ბანკი"	PC

სს "საქართველოს ბანკი"	BG
სს "ლიბერთი ბანკი"	LB
სს "საქართველოს ბანკის" დროებითი კოდი	TP
სს "ხალიკ ბანკი საქართველო"	HB
სს ბანკი "რესპუბლიკა"	BR
სს "თურქეთის იშ ბანკი"	IS
სს "პაშა ბანკი საქართველო"	PB
სს "ფინკა ბანკი საქართველო"	FG